

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2013 წლის 27 ივლისის N 872-რს დადგენილებით

ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან

კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმი სტრასბურგი, 2003 წლის 15 მაისი

ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოები და ამ ოქმის ხელმომწერი სხვა სახელმწიფოები,
თვლიან რა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თავიდან აცილებისათვის მიზანშეწონილია „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის“ კონვენციაში (ETS N 173, შემდგომში „კონვენცია“ წოდებული) დამატებების შეტანა; აგრეთვე, თვლიან რა, რომ ეს ოქმი წარმოქმნის 1996 წლის კორუფციის წინააღმდეგ სამოქმედო პროგრამის უფრო სრულად შესრულების შესაძლებლობას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I ტერმინთა გამოყენება

მუხლი 1 ტერმინთა გამოყენება

ამ ოქმის მიზნებისათვის:

1. „არბიტრად“ ითვლება პირი, რომელიც განსაზღვრულია ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, მაგრამ ეს ტერმინი, ნებისმიერ შემთხვევაში, მოიცავს პირს, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე მოწოდებულია გამოიტანოს იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილება დავაზე, რომელიც მას გადასცეს შეთანხმების მხარეებმა.
2. ტერმინი „საარბიტრაჟო შეთანხმება“ ნიშნავს შეთანხმებას, რომელიც აღიარებულია შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან შესაბამისობაში, რომლის საშუალებითაც მხარეები თანხმდებიან დავა გადასაწყვეტად გადასცენ არბიტრს.
3. „ნაფიც მსაჯულად“ ითვლება პირი, რომელიც განსაზღვრულია ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, მაგრამ ეს ტერმინი, ნებისმიერ შემთხვევაში, მოიცავს პირს, რომელიც არ არის რა პროფესიონალი იურისტი, მოქმედებს როგორც წევრი კოლეგიალური ორგანოსი, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლოს ფარგლებში ბრალდებული პირის ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.
4. იმ განხილვების შემთხვევაში, რომლებშიც ჩართულია სხვა სახელმწიფოს არბიტრი ან ნაფიცი მსაჯული, სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს დევნას, შეუძლია

გამოიყენოს არბიტრის ან ნაფიცი მსაჯულის განსაზღვრება იმდენად, რამდენადაც ეს განსაზღვრება არ ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ სამართალს.

თავი II

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე განსახორციელებელი ზომები

მუხლი 2

სახელმწიფოს არბიტრების აქტიური მოსყიდვა

თითოეული მხარე იღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს, რათა მისი რომელიმე არბიტრისთვის, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს არბიტრაჟის შესახებ მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანახმად, რომელიმე პირის მხრიდან განზრახ, პირდაპირ ან ირიბად, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მიცემა, უშუალოდ ამ პირისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისთვის, იმისთვის რომ მან ჩაიდინოს ქმედებები ან თავი შეიკავოს მათი ჩადენისგან თავისი ფუნქციების განხორციელებისას, ამ მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, დაკვალიფიცირდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული.

მუხლი 3

სახელმწიფოს არბიტრების პასიური მოსყიდვა

თითოეული მხარე იღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს, რათა მისი რომელიმე არბიტრის მხრიდან, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს არბიტრაჟის შესახებ მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანახმად, განზრახ, პირდაპირ ან ირიბად, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მოთხოვნა ან მიღება ან ასეთი უპირატესობის შეთავაზების ან დაპირების მიღება, რათა ამ არბიტრმა ჩაიდინოს ქმედებები ან თავი შეიკავოს მათი ჩადენისგან თავისი ფუნქციების განხორციელებისას, ამ მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, დაკვალიფიცირდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული.

მუხლი 4

სხვა სახელმწიფოს არბიტრების მოსყიდვა

თითოეული მხარე იღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ქმედება, როცა ეს ეხება არბიტრს, რომელიც თავის ფუნქციებს ასრულებს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, ამ მხარის

შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, დაკვალიფიცირდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული.

მუხლი 5 **სახელმწიფოს ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვა**

თითოეული მხარე იღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ქმედება, როცა ეს ეხება ნებისმიერ პირს, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო სისტემის ფარგლებში მოქმედებს როგორც ნაფიცი მსაჯული, ამ მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, დაკვალიფიცირდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული.

მუხლი 6 **სხვა სახელმწიფოს ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვა**

თითოეული მხარე იღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ქმედება, როცა ეს ეხება ნებისმიერ პირს, რომელიც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს სასამართლო სისტემის ფარგლებში მოქმედებს როგორც ნაფიცი მსაჯული, ამ მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, დაკვალიფიცირდეს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული.

თავი III **შესრულების კონტროლი და დასკვნითი დებულებები**

მუხლი 7 **შესრულების კონტროლი**

კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) კონტროლს უწევს მხარეთა მიერ ამ ოქმის შესრულებას.

მუხლი 8 **კავშირი კონვენციასთან**

1. კონვენციის მხარეთათვის ამ ოქმის მე-2-დან მე-6 მუხლის ჩათვლით ითვლება კონვენციის დამატებით მუხლებად.
2. კონვენციის დებულებები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ისინი შეესაბამებიან ოქმის დებულებებს.

მუხლი 9

განცხადებები და დათქმები

1. თუ მხარემ გააკეთა განცხადება კონვენციის 36-ე მუხლის შესაბამისად, მას შეუძლია ანალოგიური განცხადება გააკეთოს ამ ოქმის მე-4 და მე-6 მუხლების მიმართაც ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემისას.
2. თუ მხარემ გააკეთა დათქმა კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომელიც ზღუდავს კონვენციის მე-5 მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის, პასიური მოსყიდვის სახით, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის დაკვალიფიცირებას, მას შეუძლია ანალოგიური განცხადება გააკეთოს ამ ოქმის მე-4 და მე-6 მუხლების მიმართაც ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემისას. მხარის მიერ კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი სხვა დათქმა აგრეთვე გამოიყენება ამ ოქმის მიმართ, თუ ეს მხარე საპირისპიროს არ განაცხადებს ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემისას.
3. რაიმე სხვა დათქმის გაკეთება დაუშვებელია.

მუხლი 10

ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად იმ სახელმწიფოთათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოხატონ თანხმობა ვალდებულებების აღებაზე:
 - a. ხელმოწერის გზით რატიფიკაციასთან, მიღებასთან ან მოწონებასთან დაკავშირებით დათქმის გაკეთების გარეშე; ან
 - b. რატიფიკაციასთან, მიღებასთან ან მოწონებასთან დაკავშირებით დათქმით ხელმოწერის გზით და შემდგომი რატიფიკაციით, მიღებით ან მოწონებით.
2. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების ან მოწონების შესახებ დოკუმენტები შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.
3. ოქმი ძალაში შედის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებების შესაბამისად, ამ ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების აღებაზე ხუთი სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს და მხოლოდ მას შემდეგ, როცა კონვენცია შევა ძალაში.
4. იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც შემდგომ გამოხატავენ ამ ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების აღებაზე თანხმობას, ოქმი ძალაში შედის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებების შესაბამისად, მათ მიერ ოქმით დადგენილი ვალდებულებების აღებაზე თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

5. სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა ამ ოქმს, არ შეუძლია მოახდინოს ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან მოწონება კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების აღებაზე თანხმობის წინასწარ ან ერთდროულად გამოხატვის გარეშე.

მუხლი 11 **ოქმთან შეერთება**

1. ამ ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროპულ გაერთიანებას, რომელიც შეუერთდა კონვენციას, შეუძლია შეუერთდეს ამ ოქმს.
2. იმ სახელმწიფოსთვის ან ევროპული გაერთიანებისთვის, რომელიც შეუერთდა ოქმს, ოქმი ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის დღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 12 **ტერიტორიული გამოყენება**

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროპულ გაერთიანებას ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემისას შეუძლია მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზედაც გავრცელდება ამ ოქმის მოქმედება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს შემდგომში ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე განცხადების გაგზავნის გზით შეუძლია გაავრცელოს ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან რომელთა სახელითაც ის უფლებამოსილია აიღოს ვალდებულებები. ასეთი ტერიტორიებისთვის ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი განცხადების მიღების დღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.
3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, რომელიც მითითებულია ასეთ განცხადებაში, შეიძლება გამოწვეულ იქნეს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ასეთი გამოწვევა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 13 **დენონსაცია**

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით შეუძლია მოახდინოს ამ ოქმის დენონსაცია.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. კონვენციის დენონსაცია ავტომატურად იწვევს ოქმის დენონსაციას.

მუხლი 14 **შეტყობინება**

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრ-სახელმწიფოს, ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროპულ გაერთიანებას, რომლებიც შეუერთდნენ ამ ოქმს, ატყობინებს:

a. ამ ოქმის ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

b. ნებისმიერი სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ ნებისმიერი დოკუმენტის შესანახად გადაცემის შესახებ;

c. მე-10, მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

d. მე-9 და მე-12 მუხლების თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადების ან დათქმის შესახებ;

e. ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან ცნობის შესახებ.

რის დასტურადაც, ქვემოთ ხელისმომწერი, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილნი აწერენ ხელს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 2003 წლის 15 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ორივე ტექსტი თანაბარი ძალისაა და ერთ ეგზემპლარად ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლს უგზავნის ყოველ ხელმომწერ ან შეერთებულ მხარეს.

Дополнительный протокол **к Конвенции об уголовной ответственности за коррупцию** **(Страсбург, 15 мая 2003 г.)**

ETS N 191

Государства-члены Совета Европы и другие государства, подписавшие настоящий Протокол,

Считая, что для предотвращения коррупции и для борьбы с ней целесообразно дополнить Конвенцию об уголовной ответственности за коррупцию (ETS N 173, далее именуемую "Конвенция");

Считая также, что настоящий Протокол позволит более полно выполнить Программу действий по борьбе с коррупцией, 1996,

Согласились о нижеследующем:

Глава I

Использование терминов

Статья 1 - Использование терминов

Для целей настоящего Протокола:

1. **"Третейским судьей (Арбитром)"** считается лицо, определяемое в национальном праве Государств-Сторон настоящего Протокола, но в любом случае этот термин включает лицо, которое на основании арбитражного соглашения призвано вынести юридически обязательное решение по спору, переданному ему/ей сторонами соглашения.

2. Термин **"арбитражное соглашение"** означает соглашение, признанное в соответствии с национальным правом, посредством которого Стороны соглашаются передать спор для решения арбитром.

3. **"Присяжным заседателем"** считается лицо, определяемое в национальном праве Государств-Сторон настоящего Протокола, но в любом случае этот термин включает лицо, не являющееся профессиональным юристом, действующее как член коллегиального органа, который несет ответственность за принятие решения о вине человека, обвиняемого в рамках суда.

4. В случае разбирательств, в которые вовлечен иностранный третейский судья (арбитр) или присяжный заседатель, Государство, осуществляющее преследование, может применять определение третейского судьи (арбитра) или присяжного заседателя лишь в той степени, в какой это определение не противоречит национальному праву данного государства.

Глава II

Меры, принимаемые на национальном уровне

Статья 2 - Активный подкуп национальных третейских судей (арбитров)

Каждая Сторона принимает такие законодательные и иные меры, которые могут потребоваться для того, чтобы квалифицировать в качестве уголовных преступлений в соответствии с ее внутренним правом обещание, предложение или предоставление каким-либо лицом, прямо или косвенно, какого-либо неправомерного преимущества любому из ее третейских судей (арбитров), осуществляющему свои функции согласно национальному праву об арбитраже Стороны, для самого этого лица или любого иного лица, с тем чтобы оно совершило действия или воздержалось от их совершения при осуществлении своих функций, когда это сделано преднамеренно.

Статья 3 - Пассивный подкуп национальных третейских судей (арбитров)

Каждая Сторона принимает такие законодательные и иные меры, которые могут потребоваться для того, чтобы квалифицировать в качестве уголовных преступлений в соответствии с ее внутренним правом испрашивание или получение кем-либо из ее третейских судей (арбитров), осуществляющим его или ее функции согласно национальному праву об арбитраже Стороны, прямо или косвенно, какого-либо неправомерного преимущества для него или нее или же для принятие предложения или обещания такого преимущества, с тем чтобы этот третейский судья (арбитр) совершил действия или воздержался от их совершения при осуществлении его или ее функций, когда это сделано преднамеренно.

Статья 4 - Подкуп иностранных третейских судей (арбитров)

Каждая Сторона принимает такие законодательные и иные меры, которые могут потребоваться для того, чтобы квалифицировать в качестве уголовных преступлений в соответствии с ее внутренним правом поведение, упомянутое в статьях 2 и 3, когда это касается третейского судьи (арбитра), осуществляющего его/ее функции согласно национальному законодательству любого другого Государства.

Статья 5 - Подкуп национальных присяжных заседателей

Каждая Сторона принимает такие законодательные и иные меры, которые могут потребоваться для того, чтобы квалифицировать в качестве уголовных преступлений в соответствии с ее внутренним правом поведение, упомянутое в статьях 2 и 3, когда это касается любого лица, действующего в качестве присяжного заседателя в пределах национальной судебной системы.

Статья 6 - Подкуп иностранных присяжных заседателей

Каждая Сторона принимает такие законодательные и иные меры, которые могут потребоваться для того, чтобы квалифицировать в качестве уголовных преступлений в соответствии с ее внутренним правом поведение, упомянутое в статьях 2 и 3, когда это касается любого лица, действующего в качестве присяжного заседателя в пределах судебной системы любого другого государства.

Глава III

Контроль за выполнением и заключительные положения

Статья 7 - Контроль за выполнением

Группа государств против коррупции (ГРЕКО) наблюдает за выполнением настоящего Протокола Сторонами.

Статья 8 - Связь с Конвенцией

1. Для Сторон Конвенции положения статей со 2-6 настоящего Протокола считаются дополнительными статьями к Конвенции.

2. Положения Конвенции применяются в такой мере, в какой они совместимы с положениями Протокола.

Статья 9 - Заявления и оговорки

1. Если Сторона сделала заявление в соответствии со статьей 36 Конвенции, она может сделать аналогичное заявление в отношении статей 4 и 6 настоящего Протокола при подписании или сдаче на хранение ратификационной грамоты, документа о принятии, об одобрении или о присоединении.

2. Если Сторона сделала оговорку в соответствии с пунктом 1 статьи 37 Конвенции, ограничивающую квалификацию в качестве уголовных преступлений правонарушения в виде пассивного подкупа, определенного в статье 5 Конвенции, она может сделать аналогичную оговорку относительно статей 4 и 6 настоящего Протокола при подписании или сдаче на хранение ратификационной грамоты, документа о принятии, об одобрении или о присоединении. Любая другая оговорка, сделанная Стороной в соответствии со статьей 37 Конвенции, также применяется к настоящему Протоколу, если эта Сторона не заявит иного при подписании или сдаче на хранение ратификационной грамоты, документа о принятии, об одобрении или о присоединении.

3. Никаких других оговорок не может быть сделано.

Статья 10 - Подписание и вступление в силу

1. Настоящий Протокол открыт для подписания государствами, подписавшими Конвенцию. Эти Государства могут выразить согласие принять на себя обязательства путем:

а) подписания без оговорки относительно ратификации, принятия или одобрения; или

б) подписания с оговоркой относительно ратификации, принятия или одобрения, с последующими ратификацией, принятием или одобрением.

2. Грамоты о ратификации, документы о принятии или об одобрении сдаются на хранение Генеральному секретарю Совета Европы.

3. Настоящий Протокол вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с даты, когда пять Государств выразят согласие принять на себя обязательства, вытекающие из Протокола, в соответствии с положениями пунктов 1 и 2, и только после того, как Конвенция вступит в силу.

4. Для тех государств, которые в последующем выразят свое согласие принять на себя обязательства по нему, Протокол вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с даты, когда они выразят согласие принять на себя обязательства по Протоколу в соответствии с положениями пунктов 1 и 2.

5. Государство, подписавшее настоящий Протокол, не может ратифицировать, принять и одобрить настоящий Протокол, предварительно или одновременно не выразив согласия принять на себя обязательства, вытекающие из Конвенции.

Статья 11 - Присоединение к Протоколу

1. После вступления в силу настоящего Протокола любое Государство или Европейское сообщество, присоединившиеся к Конвенции, может присоединиться к настоящему Протоколу.

2. Для государства или Европейского сообщества, присоединившихся к Протоколу, Протокол вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с даты сдачи на хранение документа о присоединении Генеральному секретарю Совета Европы.

Статья 12 - Территориальное применение

1. Любое государство или Европейское сообщество может во время подписания или при сдаче на хранение своей ратификационной грамоты или документа о принятии, одобрении или присоединении указать территорию или территории, на которые распространяется действие настоящего Протокола.

2. Любое Государство может в любое время впоследствии путем направления заявления на имя Генерального секретаря Совета Европы распространить действие Протокола на любую другую указанную в заявлении территорию или территории, за международные отношения которых оно несет ответственность или от имени которых оно уполномочена брать обязательства. Для такой территории Протокол вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с даты получения такого заявления Генеральным секретарем.

3. Любое заявление, сделанное в соответствии с двумя предыдущими пунктами, в отношении любой территории, указанной в таком заявлении, может быть отозвано путем направления уведомления на имя Генерального секретаря Совета Европы. Такой отзыв вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с даты получения такого уведомления Генеральным секретарем.

Статья 13 - Денонсация

1. Любая Сторона может в любое время денонсировать настоящий Протокол посредством направления уведомления на имя Генерального секретаря Совета Европы.

2. Такая денонсация вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с даты получения уведомления Генеральным секретарем.

3. Денонсация Конвенции автоматически влечет денонсацию Протокола.

Статья 14 - Уведомления

Генеральный секретарь Совета Европы уведомляет все Государства-члены Совета Европы, Европейское Сообщество, любое Государство или Европейское сообщество, присоединившиеся к настоящему Протоколу:

- a) о любом подписании настоящего Протокола;
- b) о сдаче на хранение любой ратификационной грамоты или любого документа о принятии, об одобрении или о присоединении;
- c) о любой дате вступления в силу настоящего Протокола в соответствии со статьями 10, 11 и 12;
- d) о любых заявлениях или оговорках, сделанных согласно статьям 9 и 12;
- e) о любом ином акте, уведомлении или сообщении, относящихся к настоящему Протоколу.

В удостоверение чего нижеподписавшиеся, должным образом на то уполномоченные, подписали настоящий Протокол.

Совершено в Страсбурге 15 мая 2003 года на английском и французском языках, причем оба текста имеют одинаковую силу, в единственном экземпляре, который хранится в архиве Совета Европы. Генеральный секретарь Совета Европы направляет заверенную копию каждой подписавшей или присоединившейся Стороне.